European Commission

რა არის ევროპული მწვანე შეთანხმება?

2019 წლის დეკემბერი
#EUGreenDeal

ევროპული მწვანე შეთანხმება ადამიანების კეთილდღეობის ზრდას ემსახურება. ევროპის კლიმატ-ნეიტრალურობა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვა სარგებელს მოუტანს ადამიანებს, პლანეტასა და ეკონომიკას. არავინ დარჩება ყურადღების მიღმა.

ევროკავშირი:

2050 წლისთვის გახდება კლიმატ-ნეიტრალური

დაბინძურების შემცირების გზით დაიცავს ადამიანების სიცოცხლეს, ცხოველებსა და მცენარეებს

დაეხმარება კომპანიებს, რათა გახდნენ მსოფლიო ლიდერები სუფთა პროდუქციის წარმოებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით

უზრუნველყოფს სამართლიან და ინკლუზიურ ცვლილებებს

"ევროპული მწვანე შეთანხმება ჩვენი ზრდის ახალი სტრატეგიაა. ის დაგვეხმარება როგორც ემისიების შემცირებაში, ასევე სამუშაო ადგილების შექმნაში."

ურსულა ფონ დერ ლეიენი, ევროკომისიის პრეზიდენტი

"ჩვენ გთავაზობთ მწვანე და ინკლუზიურ გარდაქმნას ადამიანების საკეთილდღეოდ და მომავალი თაობებისთვის ჯანსაღი პლანეტის შესანარჩუნებლად."

ფრანს ტიმერმანსი, ევროკომისიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი

93%
ევროპელების 93% **კლიმატის ცვლილებას სერიოზულ პრობლემად** მიიჩნევს

93%
ევროპელების 93%-ს **მიღებული აქვთ**, სულ მცირე, ერთი **ზომა** კლიმატის ცვლილების პრობლემის დაძლევის მიმართულებით

79%
ევროპელების 79% თვლის, რომ კლიმატის ცვლილების პრობლემის მიმართულებით მიღებული ზომები **ხელს უწყობს ინოვაციებს**

რა უნდა გავაკეთოთ?

კლიმატი

ევროკავშირი **კლიმატ-ნეიტრალური 2050** წლისთვის გახდება. ევროკომისია წარმოადგენს ევროპის კლიმატის კანონს, რომელიც პოლიტიკურ ნებას სამართლებრივ ვალდებულებებად აქცევს და ხელს შეუწყობს ინვესტიციებს

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება ეკონომიკის ყველა დარგის ძალისხმევა:

ენერგეტიკა

ენერგეტიკის სექტორის დეკარბონიზაცია



ენერგიის წარმოება და მოხმარება ევროკავშირში სათბურის აირების ემისიების **75%**-ზე მეტს შეადგენს

შენობები

შენობების განახლება ენერგიის მოხმარებისა და შესაბამისი გადასახადების შესამცირებლად

წარმოებული ენერგიის **40%** შენობებში გამოიყენება

მრეწველობა

მრეწველობის მხარდაჭერა ინოვაციებსა და მწვანე ეკონომიკის სფეროში

გამოყენებული რეციკლირებული მასალების წილი ევროპის მრეწველობაში მხოლოდ **12%**-ს შეადგენს

მობილობა

კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფრო სუფთა, იაფი და ჯანსაღი ფორმების ფართოდ დანერგვა

ემისიების **25%** სატრანსპორტო სექტორზე მოდის

Print ISBN 978-92-76-13661-3 doi:10.2775/97540 NA-03-19-927-EN-C
PDF ISBN 978-92-76-13629-3 doi:10.2775/275924 NA-03-19-927-EN-N